აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კანონი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის შესახებ

მუხლი 1.

1. ეს კანონი ადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოს, აღწერილობას, მისი გამოყენებისა და დაცვის წესს.

2. ამ კანონით დადგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის ერთადერთი ვარიანტი. აკრძალულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშად სხვა დროშის გამოყენება.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის ორიგინალი ინახება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ დადგენილ ადგილას.

მუხლი 2.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა არის მართკუთხა ქსოვილი, რომელსაც გაჰკვეთს შვიდი ჰორიზონტალური ზოლი: 1-3-5-7 ზოლი ლაჟვარდის ფერი, ხოლო 2-4-6 ზოლი თეთრი ფერის. დროშის ზედა მარჯვენა კუთხეში გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო დროშა.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის სტანდარტული ზომები, ზუსტი გამოსახულება, დამზადების წესი და პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო დროშის სამი მეხუთედი.

მუხლი 3.

1. საქართველოს დროშასთან ერთად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა მუდმივად აღიმართება:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შენობაზე;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შენობაზე;

გ) ამოღებულია *(21. 11. 2006 წ. N227; გაზეთი "აჭარა", 30. 11. 2006 წ. N221)*

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის შენობაზე;

ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების შენობებზე;

ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ადმინისტრაციული ორგანოების შენობებზე.

2. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ოფიციალური ღონისძიებების ჩატარებისას საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად აღიმართება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშაც.

3. საქართველოს დროშასთან ერთად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის აღმართვის შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო დროშა უნდა აღიმართოს უფრო მაღლა, ვიდრე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა.

მუხლი 4.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის დაცვას უზრუნველყოფენ შესაბამისი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები.
2. აკრძალულია დაზიანებული, გაუფერულებული ან სხვაგვარად შელახული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის გამოყენება.
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის გამოყენების დადგენილი წესის დარღვევა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

მუხლი 5.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე *ლევან ვარშალომიძე*

ბათუმი,
2004 წლის 20 ივლისი
N05